საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-546

17/06/2019

ქ. თბილისი

შპს „ბათუმის ნავთობის ტერმინალის“ ბათუმის საზღვაო პორტში თხევადი გაზის გადასატვირთ ტერმინალზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2002 წლის 23 დეკემბერს გაცემული №0024 გარემოსდაცვითი ნებართვის გაუქმების შესახებ

მიმდინარე წლის 10 აპრილს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ გენერალურმა დირექტორმა და ითხოვა სამინისტროს მიერ 2003 წლის 23 ივნისის №56 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვის გაუქმება.

2002 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ბათუმის ნავთობის ტერმინალის“ ბათუმის საზღვაო-სავაჭრო პორტში თხევადი გაზის გადასატვირთ ტერმინალზე გაიცა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა №65 23.12.2002; ქ. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორია) და №0024 გარემოსდაცვითი ნებართვა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ თხევადი გაზის გადასატვირთი ტერმინალი წარმოადგენს შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას და მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და გარემოსდაცვითი მოთხოვნა სრულად არის აღწერილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2009 წლის 30 იანვრის №4 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემული №000007 გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ განცხადებისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაუქმდეს შპს „ბათუმის ნავთობის ტერმინალის“ ბათუმის საზღვაო-სავაჭრო პორტში თხევადი გაზის გადასატვირთ ტერმინალზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2002 წლის 23 დეკემბერს გაცემული №0024 გარემოსდაცვითი ნებართვა;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „ბათუმის ნავთობის ტერმინალის“ ბათუმის საზღვაო-სავაჭრო პორტში თხევადი გაზის გადასატვირთ

ტერმინალზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2002 წლის 23 დეკემბერს გაცემული №65 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა;

3. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ბათუმის ნავთობტერმინალს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი